

ზოგი რამ კომპოზიტის დაწერილობისათვის*

(ლექსიკონებში სოკოს აღმნიშვნელი სახელების
მართლწერასთან დაკავშირებით)

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში არაიშვია-
თად მოუგვარებელია რთული სახელების (კომპოზიტების) დაწე-
რილობა. როგორც ბრესაში, ისე მხატვრულ და სამეცნიერო ლი-
ტერატურაში, ლექსიკონებსა და ქართულ ენციკლოპედიაში ერ-
თი და იმავე სიტყვის სხვადასხვაგვარი დაწერილობა გვხვდება.
მაგ., ერთი მცენარის სახელი ბოტანიკურ ლექსიკონში ასეთია:
ძაღლის-ენა, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში — **ძაღლის**
ენა, ხოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონში (1998) — **ძაღლისენა**.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში (და
ერთტომეულშიც) არის **დათვის თხილი**, ხოლო ბოტანიკურ
ლექსიკონსა და ქსე-ში კომპოზიტი **დათვისთხილა**. ორივე დაწე-
რილობა რომ ერთისა და იმავე მცენარის სახელია, ამაზე მიუთი-
თებს მათთან არსებული ერთი და იგივე ლათინური შესატყვისი
(*Corylus iberica*). ასეთივე სიჭრელეა სხვა მრავალ შემთხვევაში.
მაგრამ ჩვენ შევჩერდებით ძირითად იმ კომპოზიტების მართწერა-
ზე, რომლებიც სოკოს აღმნიშვნელ სახელებში გვხვდება სხვადა-
სხვა ლექსიკონებსა და ქართულ ენციკლოპედიაში.

* წაკითხულია მოხსენებად აკად. სიმონ ჯანაშიას დაბადების 100 წლისთავი-
სადმი მიძღვნილ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 59-ე
სამეცნიერო სესიაზე 2000 წლის 14 დეკემბერს. იბეჭდება მკირეოდენი ცვლი-
ლებით.

ჯერ ორიოდ სიტყვა თვით სოკოს შესახებ.

სოკოს უხსოვარი დროიდან იცნობს ადამიანი, რომლის ცხოვრებაში მას ძველადვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს. ადამიანი იყენებს ერთი მხრივ საჭმელ სოკოს როგორც მაღალ ხარისხოვან საკვებ პროდუქტს და მეორე მხრივ — მიკროსკოპულ სოკოებს სხვადასხვა სამეურნეო მიზნებისათვის, როგორცაა პურის ცხობა, ღვინის დადუღება, ლუდის ხარშვა, ყველის ამოყვანა და სხვ. გარდა ამისდა, საუკუნეებით ადრე, ვიდრე მეცნიერები პენიცილინსა და სხვა ანტიბიოტიკებს აღმოაჩენდნენ (და ეს აღმოჩენაც სოკოს გარკვეულ სახეობებთანაა დაკავშირებული!), სოკოს ერთ-ერთ სახეობას, კერძოდ გულაფშუტას, წარმატებით იყენებდა სახალხო მედიცინა როგორც ეფექტურ ქრილობის შესაზორცებელ და ანტისეპტიკურ საშუალებას.

სოკოს მეცნიერული შესწავლა პრაქტიკულად მიკროსკოპის გამოგონების შემდეგ (XVII საუკუნიდან) დაიწყო. მანამდე სერიოზულად მსჯელობდნენ — სოკო ცხოველია თუ მცენარეო. თვით ისეთი გამოჩენილი ბუნებისმეტყველიც კი, როგორც იყო კარლ ლინე, თავისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში სოკოს ცხოველთა სამყაროს აკუთვნებდა — აქაოდა ზოგი თვისებებით იგი პოლიპებს ემსგავსებო. შემდგომში, როცა გაირკვა სოკოს გამრავლების მექანიზმი, ლინემ შეიცვალა შეხედულება და სოკო მცენარეთა სამყაროს ე. წ. უმდაბლეს მცენარეებს მიაკუთვნა. ასეა ეს დღევანდელ მცენარეთა სისტემატიკაშიც.

ამჟამად აღწერილია სოკოს 100 000-მდე სახეობა, რომელთაგან დიდი ნაწილი მიკროსკოპიული სახეობებია და მათ სპეციალისტები მხოლოდ ლათინური სახელწოდებებით იცნობენ. ადამიანი საკვებ პროდუქტად ხმარობს უმთავრესად ე. წ. ქუდიან სოკოებს. ცნობილია 200-მდე ასეთი სოკო, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, მოსახლეობა იყენებს მხოლოდ 20-მდე სახეობას; დანარჩენებისათვის მრავალ შემთხვევაში სახელწოდებაც კი უცნობია ამა თუ იმ ცოცხალ ენაზე და აქაც ლათინური ენაა მოშველებული. მაგ., ი. ნახუცრიშვილის წიგნში „საქართველოს საჭმელი

და შხამიანი სოკოები¹ განხილილია 100-მდე სახეობის ქუდიანი სოკო, რომელთაგან ორმოცამდე მხოლოდ ლათინური სახელწოდებითაა წარმოდგენილი — მათ ქართული სახელი არ გააჩნიათ.

როდის შეარქვეს ამა თუ იმ სოკოს ჩვენმა წინაპრებმა ესა თუ ის სახელი ჩვენთვის, რა თქმა უნდა, უცნობია, თანაც ივარაუდება, რომ ზოგი სახელი უცხო წარმოშობისაა. მაგ., ქამა არაბული წარმოშობისად ითვლება, სადაც იგი ზოგადად სოკოს ნიშნავს (ისევე, როგორც მისი ფრანგული შესატყვისი შამპინიონი აგრეთვე სოკოს ზოგადი სახელია ფრანგულში). უცხოური წარმოშობისად მიაჩნდა არნ. ჩიქობავას მიქლიო. მრავალი სოკოს სახელი შექმნილი ჩანს ენაში არსებული სახელდების წესების მიხედვით და სავსებით გამჭვირვალეა. სახელდებისას გათვალისწინებულია მათი გარეგნული მოყვანილობა, სიდიდე, სხვა საგანთან მსგავსება, ფერი, გემო, საყოფაცხოვრებო მნიშვნელობა და სხვ. მაგ., სანელებელა, ხრაშუნა, საჩეჩელა, სავარცხელა, წითლიო, ღვინიო, თირკმელა, შხამა და სხვ. ზოგისათვის ხალხს მხატვრულად გაფორმებული სახელი შეურქმევია, როგორცაა: შაფიობა, სადმომწყვიტე, წეროსწვივა, ირმისტუჩა, ქვეყნისგული და მისთ.

საბას ქართულ ლექსიკონში 17 დასახელების სოკოა შესული. ამათგან დიდი უმეტესობა მარტივი, ერთფუძიანი სიტყვებია: ვარყა, თირკმელა, მანჭკვალა, მჭადა, ნიყვი, ნოშიო, სანელებელა, ტრედა, ქამა, ყურა, ჩობაყო, წოვანა, ჯონჯოლა. 4 სახელი ორფუძიანია: გუდაფშუტა, სადმამწყვიტე, ირმისბაწარა, ქვეყნისგული. გარდა ამისა, ლექსიკონის მხოლოდ ერთ (C) რედაქციაში გვხვდება ყურასოკო (მითითებით — ნახე ყურაო). ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ სოკოს 12 სახელწოდებიდან 9 მარტივია, ერთფუძიანი; დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ სოკოს 29 სახელწოდებაა, რომელთაგან 18 მარტივფუძიანია.

¹ ი. ნახუცრიშვილი, საქართველოს საქელი და შხამიანი სოკოები, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1964.

სოკოს მეცნიერულ შესწავლასთან ერთად ზოგ ნაშრომში იმატა რთულფუძიანი სახელების რაოდენობამ. ასე, მაგ., საბას, ნ. და დ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში არსებული ვარყა, თირკმელა, მჭადა, ქამა, ფქვილა, ჭეჭკეტა, კალმაზა, სილიო, ღვინიო ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეტანილია არყასოკოს, თირკმელასოკოს, მჭადასოკოს, ქამასოკოს და ა. შ. ფორმით. ენციკლოპედიაში შესული სოკოს 57 სახელწოდებიდან მარტივი ფუძის დარჩა მხოლოდ 12.

სოკოს აღმნიშვნელი ბევრი სახელის დაწერილობა დავას არ იწვევს (მაგ., ერთფუძიანი სახელები: ნიყვი, მიქლიო, ღვინიო, მანჭკვალა და მისთ., აგრეთვე ზოგი ორფუძიანი სახელი, როგორცაა: შაჯროზა, ხარისფაშვა, წეროსწვივა და მისთ.). სიძნელე გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა რთული (ორსიტყვიანი) სახელის მეორე კომპონენტად გამოყენებულია სიტყვა **სოკო**: არყასოკო, შხამასოკო და მისთ. სოკოს ასეთ ფორმათა რაოდენობა 2 ათეულზე მეტია. ლექსიკონებში სამგვარი დაწერილობა გვხვდება: **შხამა სოკო**, **შხამა-სოკო** და **შხამასოკო**.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს ლექსიკონებსა და ქართულ ენციკლოპედიაში არსებულ ვითარებას.

დაწერილობის სახე	ბოტანიკური ლექსიკონი	ქველ რეატომეული	ქველ ერთომეული	ორთოგრაფიული ლექსიკონი 1968	ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998	ქსე
შხამა სოკოს ტიპისა	5	3	1	4	9	4
შხამა-სოკოს ტიპისა	19	3				
შხამასოკოს ტიპისა		3	5	3		12

როგორც ცხრილიდან ჩანს, სოკოს აღმნიშვნელი ორსიტყვიანი დაწერილობა აქ მოყვანილ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიაში არსებითად განსხვავდება ერთანეთისაგან. ზოგან ეს სახელები კომპოზიტად არის მიჩნეული, ზოგან კი — შესიტყვებად. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია ვიკითხოთ, რა კრიტერიუმი არსებობს იმის გასარკვევად, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კომპო-

ზიტთან გვაქვს საქმე, თუ შესიტყვებასთან, ანუ როგორ განვა-
სხვაოთ კომპოზიტი შესიტყვებისაგან.

კომპოზიტები, მათი ბუნება და სხვადასხვა სახეები ახალ
და ძველ ქართულში მრავალ ავტორს აქვს მეტ-ნაკლები სისრულ-
ლით განხილული და ამ განხილვის დროს გზადაგზა მათს დაწე-
რილობასაც შეხებიან (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია,
ვ. თოფურია, ა. კიზირია, თ. ყაუხჩიშვილი, მ. მრევლიშვილი, ი.
იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი და სხვ.), მაგრამ არის სპეციალური
ნაშრომებიც კომპოზიტების დაწერილობის შესახებ, ასეთებია:
ს. ყაუხჩიშვილის, ს. იორდანიშვილისა და ჩვენთვის განსაკუთრე-
ბით საინტერესო — ვ. თოფურიას და ი. გიგინეიშვილის ერთობ-
ლივი ნაშრომი — „რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერი-
ლობა“, დაბეჭდილი „თანამედროვე ქართული სალიტერატურო
ენის ნორმების“ პირველ კრებულში. ამ წერილში დაწვრილები-
თაა განხილული კომპოზიტების სახეები და მოცემულია მათი
დაწერილობის რეკომენდაციები, მათ შორის ჩვენთვის მნიშვნე-
ლოვანი ორსიტყვიანი სინტაგმების დაწერილობის შესახებ. ავტო-
რები ეყრდნობიან კომპოზიტისა და შესიტყვების გამიჯვნის იმ
წესს, რომელიც მოცემული აქვს არნ. ჩიქობავას. ბ-ნი არნოლდი
წერს: „იმის გასარკვევად კომპოზიტი გვაქვს თუ შესიტყვება, შე-
იძლებოდა ერთი საზომი გამოგვეყენებინა, სახელდობრ: შე-
მადგენელ ნაწილთა გათიშვა (გადასმის ან
შიგ სხვა სიტყვის ჩართვით). სადაც შესიტყვება
კომპოზიტად არის უკვე ქცეული, გათიშვა შეუძლებელი ხდება
(კომპოზიტის მნიშვნელობა იშლება). სადაც გადასმა დაუბ-
რკოლებლივ მიმდინარეობს, შესიტყვება გვაქვს და
არა რთული სიტყვა, კომპოზიტი. სადაც გადასმა შესაძლებელია,
მაგრამ საჩოთიროა, იქ კომპოზიტად ქცევის პროცესი
დამთავრებული არაა: გარდამავალ მდგომარეობასთან
გვაქვს საქმე“¹. (დაყოფა ავტორისა).

ამ წესის მიხედვით სოკოს ორსიტყვიანი სახელების გადა-
სმული ვარიანტები (არყა სოკო — სოკო არყა, ქამა სოკო —
სოკო ქამა, შხამა სოკო — სოკო შხამა) თუ საერთოდ შესაძლე-
ბელია, მაინც არაბუნებრივია, ხოლო რთული სიტყვის გათიშვა
(სხვა სიტყვის ჩასმით) სრულებით შეუძლებელია. შდრ. „ახალი

¹ არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 227.

არყა სოკო“ და „არყა ახალი სოკო“; „მოხრაკული ქამა სოკო“ და „ქამა მოხრაკული სოკო“; „წითელი შხამა სოკო“ და „შხამა წითელი სოკო“, აშკარაა, რომ სხვა სიტყვის ჩართვით კომპოზიციის მნიშვნელობა მოიშალა. ეს კი საფუძველს გვაძლევს დავასკნათ, რომ სოკოს აღნიშნული (და მსგავსი შინაარსის) რთული სახელები კომპოზიტებად უნდა მივიჩნიოთ და მათი ორ სიტყვად დაწერა გაუმართლებელია.

არნ. ჩიქობავას მიერ რეკომენდებული წესიდან გამომდინარეობს, რომ **შესიტყვებას** აქვს მიდრეკილება გარკვეულ პირობებში **კომპოზიტად ჩამოყალიბებისადმი**, მაგრამ უკუპროცესი, რამდენადაც ცნობილია, არ შეინიშნება. ამიტომ საექვოდ გვეჩვენება ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის 1968 წლის გამოცემაში შერწყმულად დაწერილი სოკოს ზოგი სახელისათვის (მჭადასოკო, ქამასოკო, შხამასოკო) ლექსიკონის ახალ (1998 წ.) გამოცემაში რეკომენდებული ორსიტყვიანი დაწერილობა, ე. ი. მათი განკომპოზიტება. ეს მით უფრო მოულოდნელია, რომ ორთოგრაფიული ლექსიკონის ახალ გამოცემაში მართლწერის მრავალ დაზუსტებასთან ერთად პირველი გამოცემის ზოგი შესიტყვება **კომპოზიტადაა** მიჩნეული, მაგ., ბალიშისპირი, ბებრისკონკა, გულისცემა, ინდისხურმა, მარადღეამს, ძიუღო... შეიძლება ამათ გვერდით ზოგი სხვა შესიტყვებაც ყოფილიყო, მაგ., ცხენის ძალა, წინა პირობა (შდრ. ცხენის ძალა და ძალა ცხენის; წინა პირობა და პირობა წინა; ავტომობილის ძრავას აქვს 200 ცხენის ძალა და ავტომობილის ძრავას ცხენის 200 ძალა აქვს; წარმატების წინა პირობა და წინა წარმატების პირობა).

როგორც ჩანს, აღნიშნული სახელების განკომპოზიტების საფუძველად მიჩნეულია **მსგავსი სემანტიკური შინაარსისმქონე სიტყვების მართლწერის უნიფიკაცია, გაერთიანება**. ჩვენი აზრით, მართლწერის უნიფიკაციის მოხდენისას ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ზოგჯერ შესიტყვებებს, რომლებიც სტრუქტურულად ერთი სემანტიკური შინაარსის მქონედ მიგვაჩნია, სინამდვილეში, შესაძლოა, მთლად ერთნაირი მნიშვნელობა არც ჰქონდეთ (სიტყვა მრავალწახნაგოვანია!) და ახასიათებდეთ მწკრივის სხვა შესიტყვებასთან განსხვავებული ნიუანსები, გასათვალისწინებელია თითოეულ შესიტყვებას რა კონკრეტული

მნიშვნელობა აქვს, როგორია მისი გავრცელების არეალი, ხმარების სიხშირე და სხვ. ამიტომ გაუმართლებლად მიგვაჩნია ერთ სიბრტყეზე მოვათავსოთ ერთი მხრით ენაში ნაკლებგავრცელებული და ნაკლებმნიშვნელოვანი სოკოები, როგორცაა ღვიძლა სოკო, ფქვილა სოკო, წკრიალა სოკო. გველის სოკო, ძარღვა სოკო და მისთ. და მეორე მხრით ფართოდ გავრცელებული და ყველასათვის ცნობილი არყასოკო, მჭადასოკო, ქამასოკო, შხამასოკო. ასე, რომ უნიფიკაცია სათანადო კორექტივების გარეშე ალბათ ვერ ჩაითვლება ყველა შემთხვევისათვის უნივერსალურ საშუალებად მსგავსი სემანტიკური შინაარსის მქონე სიტყვების მართლწერის დასადგენად, მას ზოგჯერ გამონაკლისებიც ახლავს. ეს სხვა მაგალითებიდანაც ჩანს. **ქედების** აღმნიშვნელი სახელები, როგორც ცნობილია, ორ სიტყვად იწერება: თრიალეთის ქედი, თუშეთის ქედი, რაჭის ქედი, ეგრისის ქედი, სვანეთის ქედი და სხვ. მაგრამ ზოგჯერ სიტყვა **ქედი** შედის სოფლის სახელწოდებაში და მაშინ ერთ სიტყვად, შერწყმულად იწერება: ბროლისქედი, ვანისქედი, ოქროსქედი, საქარბიქედი, ყირმიზქედი... ანალოგიური ვითარებაა **მთების** და **ტბების** აღმნიშვნელ სახელებშიც.

დავუბრუნდეთ სოკოების დაწერილობას. ზემოთ აღნიშნული სამი ვარიანტიდან რომელი მათგანი შეიძლება შედიოდეს სალექსიკონო ერთეულად ქართული ენის განმარტებითსა თუ ქართულ-უცხოურ ლექსიკონებში.

დეფისით დაწერილობა ამთავითვე უნდა გამოვრიცხოთ, რადგანაც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად დეფისით იწერება ორმნიშვნელობიანი (ორცნებიანი) კომპოზიტები. მართალია ამ წესს აქვს გამონაკლისები — ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტებიც იწერება ხოლმე დეფისით, მაგ., საზღვარგარეთის ქვეყნების ზოგი გეოგრაფიული სახელი (ნიუ-იორკი, ბუენოს-აირესი, პა-დე-კალე და მისთ.), აგრეთვე ზოგიერთი წოდებისა და თანამდებობის აღმნიშვნელი სახელები (გენერალ-მაიორი, კაპიტან-ლეიტენანტი, ვიცე-კონსული, ვიცე-პრეზიდენტი, წევრ-კორესპონდენტი და მისთ.), მაგრამ ზოგადი წესის მიხედვით ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტის დეფი-

სით დაწერილობა (შხამა-სოკოს ტიპისა) უმართებულა.

სამწუხაროდ, არც ერთოგრაფიული ლექსიკონის მიერ რეკომენდებული დაწერილობისათვის (შხამა სოკო) შეგვიძლია მხარის დაჭერა, თანაც ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, სოკოს სახელების ერთი ნაწილი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, უკვე კომპოზიციები და ერთ სიტყვად უნდა იწერებოდეს. მეორეც ისა, რომ, როგორც ცნობილია, განმარტებითსა და თარგმნითს ლექსიკონებში სალექსიკონო ერთეულებად ანუ სიტყვა-სტატიის მეთაურად მიღებულია **სიტყვა** და არა **შესიტყვება**. შესიტყვებები (ორ- და მეტ სიტყვიანი სახელები) სალექსიკონო ერთეულებად შეიძლება გამოიყენოს ენციკლოპედიაში (რომელიც არსებითად ცნებების განმარტებითს ლექსიკონს წარმოადგენს), ტერმინოლოგიებში და ერთოგრაფიულმა ლექსიკონმა, მაგრამ არამც და არამც განმარტებითმა და თარგმნითმა ლექსიკონებმა. ამიტომ გაუმართლებელია ორ სიტყვად დაწერილი **დათვის სოკო** სიტყვა-სტატიის მეთაურად ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ. 3). აღსანიშნავია, რომ ამ ლექსიკონში ზოგი სხვა სიტყვა-სტატიის მეთაურადაც გვხვდება ორსიტყვიანი სახელები: დათვის ესკალა, დათვის თხილი, დათვის კანაფი, დათვის კენკრა, დათვის ყურძენი, დათვის ჩაღუნა. დამახასიათებელია, რომ ქართული ენის ინვერსიულ ლექსიკონში ყველა ეს სახელი (მათ შორის დათვის სოკოც) შეტანილია **კომპოზიტის** სახით, სახელდობრ **დეფისით** (რაც თავისთავად უზუსტობა, რადგანაც ინვერსიული ლექსიკონი ზუსტად უნდა ასახავდეს შებრუნებული სახით განმარტებითის სიტყვანს).

ზემოთქმულიდან გასაგებია, რომ ხსენებული სოკოების სახელები განმარტებითსა და თარგმნითს ლექსიკონებში ვერც დეფისით შევა და ვერც ორსიტყვიანი შესიტყვებით, გვრჩება მესამე ვარიანტი, ე. ი. შერწყმულად დაწერილობა (შხამასოკო). რა თქმა უნდა, უაღრესად არასასურველია ვიხმაროთ ისეთი დაწერილობა, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ერთოგრაფიული ლექსიკონის მოთხოვნებს, მაგრამ სხვა გზა არა ჩანს. ამგვარად, სოკოს განსახილველი სახელები ქართული ენის განმარტებითსა და ქართულ-უცხოური ლექსიკონების სიტყვანში ასეთი სახით შეიძლება შედიოდეს: არყასოკო, ქამასოკო, მქადასოკო, შხამასოკო და ა. შ. მაგრამ, მეორე მხრით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ად-

რინდელ ლექსიკონებში სოკოს მარტივფუძიანი სახელები სჭარბობდა, ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ე. ი. ზეპირ მეტყველებაში უპირატესად სოკოს მარტივი, ერთფუძიანი სახელები იხმარება და არა კომპოზიტები. მეტიც შეიძლება ითქვას: როგორც პოპულარულ, ისე სპეციალურ მიკოლოგიურ ლიტერატურაში აგრეთვე ერთფუძიანი სახელები სჭარბობს. მაგ., ლ. ყანჩაველის ბროშურაში „საქმელი და შხამიანი სოკოები“ განხილულია ძირითადად სოკოს მარტივფუძიანი სახელები: ნიყვი, ქამა, მანჭკვალა, მჭადა, მერცხალა, არყა, მიქლიო, ირემა და მათ გვერდით — წითელი შხამა, თეთრი შხამა ანუ ცრუქამა და მხოლოდ ერთ შემთხვევაში — დათვის სოკო¹. ანალოგიური ვითარებაა ი. ნახუცრიშვილის წიგნში, სადაც სიტყვა **სოკოს** შემცველი 21 სახელია, ხოლო მარტივფუძიანი — 31 (მათ შორის: არყა, მიქლიო, მტრედო, მჭადა, ნიყვი, ქამა, ღვინო, შხამა და სხვ.)². ამის გათვალისწინებით და იმის გამოც, რომ ცალკეულ შემთხვევებში ზოგი განსახილველი სოკო ლექსიკონებში (მათ შორის ორთოგრაფიულშიც) ორი ვარიანტული ფორმითაა შეტანილი — მარტივი და რთული ფუძის სახით (ქამა, ქამასოკო, არყა, არყასოკო...), მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყველა იმ მარტივფუძიანი სოკოს სახელი, რომელიც სიტყვა **სოკოს** დართვით რთულფუძიანად მოგვევლინა, შეტანილი იქნას ლექსიკონებში **ვარიანტული ფორმით**: არყა, არყასოკო; ქამა, ქამასოკო; მჭადა, მჭადასოკო; კალმახა, კალმახასოკო, შხამა, შხამასოკო და ა. შ.

და ბოლოს დათვისსოკოს შესახებ. ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე ეს სახელი ერთ სიტყვად უნდა იწერებოდეს (ისევე, როგორც ეს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში).

¹ ლ. ყანჩაველი, საქმელი და შხამიანი სოკოები, მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1955.

² ი. ნახუცრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.